ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 29 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს ტავმჯდომარის სახელზე შემოსულია საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის" თავმჯდომარის ედიშერ წურწუმიას განცხადეაბ, სადაც ის ითხოვს განცხადების გაკეთებას და შემოვიდა წინადადებით, საკრებულოს დღის წესრიგს მე-18 საკითხად დაემატოს ე. წურწუმიას განცხადება.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლების მიზნით ნებადართული გზების განსაზღვრის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

3. „სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულის 100% - იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი

მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტების განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის N38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

11. „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

12. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

13. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

14. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N71 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

15. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N44 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

16. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

17. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

18. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ თავმჯდომარის ე. წურწუმიას განცხადება

კენჭი ეყარა დღის წესრიგის კორექტირებულ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ლაგვილავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს კორექტირებული სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელის განცხადებით, მუნიციპალიტეტში მომსახურე ავტომანქანების რემონტზე დახარჯულია 22,0 ათასი ლარი და კიდევ არის მოთხოვნა 15,0 ათას ლარზე, მიმართა გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსს მართებულად მიაჩნია თუ არა ამდენი თანხის დახარჯვა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მანქანების რემონტისთვის, მისი აზრით ამდენი თანხის ხარჯვა არამიზნობრივად მიაჩნია.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს სჭირდებათ ტრანსპორტი გადასაადგილებლად სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად, გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მომსახურე ტრანსპორტი მოძველებულია და დროდადრო ითხოვს რემონტს და დახარჯული თანხის დახარჯვა მართებულად მიაჩნია.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განმარტა, რომ თანხები გახარჯულია კანონის სრული დაცვით. მაგალითისთვის საკრებულოს მომსახურე ავტომანქანის რემონტისთვის გამოცხადდა ტენდერი და 18,0 ათასი ლარის ნაცვლად 3-ჯერ ნაკლები თანხით განხორციელდა მანქანის რემონტი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის

ცვლილება: მცირდება ბიუჯეტის ხარჯები 26,8 ათასი ლარით. კერძოდ: 26,8 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ქვეპროგრამა „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ ასიგნება და მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 20,0 ათასი ლარი - აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ასიგნებებზე, 6,8 ათასი ლარი - პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებზე, ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსავლები „გრანტები“-დან 134,2 ათასი ლარით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების დასაფინასებლად, რომელიც მიიმართა ქვეპროგრამის „დასუფთავების ღონისძიებები“ ასიგნებაზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 9560,2 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 2 (თ. გულუა, ე. წურწუმია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ლაგვილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N12 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლების მიზნით ნებადართული გზების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული
განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლების მიზნით ნებადართული გზების განსაზღვრის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, უფლებამოსილებას წარმოადგენს მათ სამოქმედო ტერიტორიებზე იმ გზების ნუსხის დამტკიცება, რომლებზედაც ნებადართულია სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლება (სასწავლო სვლა). ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ქ. ხობის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისთვის განისაზღვრა შემდეგი ქუჩები: თამარ მეფის სანაპირო, ვახტანგ გორგასლის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი ჭყონდიდელის, თენგიზ ქაჯაიას და თედო სახოკიას. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, მ. ლაგვილავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N13 ოქმს თან ერთვის)

3. „სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულის 100% -იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულის 100% - იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია სხვა მუნიციპალიტეტებშიც განხორციელდა ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლება. იქვე მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ა. ვარდია - გამომსვლელმა დაადასტურა, რომ სხვა მუნიციპალიტეტებშიც განხორციელდა კერძო სამართლის იურიდიულ პირების მშენებლობის ნებართვისთვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლება. ამ შემთხვევაში წყალმომარაგების კომპანიის შუამდგომლობის საფუძველზე ხორციელდება აღნიშნული შეღავათის დაწესება.

თ. გულუა - გამომსვლელი დაინტერესდა, დაახლოებით რამდენი ათასი ლარის მოსაკრებლის შეღავათზეა საუბარი

ა. ვარდია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საუბარია დაახლოებით 100000 ლარის ადგილობრივი მოსაკრებელის გადახდის ვალდებულებისგან განთავისუფლებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ახორციელებს წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, შპს-ს მხრიდან პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საერთო ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამგეობა შემოდის წინადადებით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლისაგან განთავისუფლების თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი

მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 1 (თ. გულუა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N14 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტების განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2017 წლის 1 ივლისიდან შედის ძალაში, რამაც განაპირობა საკრებულოს აპარატის დებულებაში ცვლილება, რომლის თანახმადაც დებულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული რანგირების ახალი სისტემის თანახმად ფორმულირდება საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა თანამდებობების სახელწოდებები და განისაზღვრება მათი უფლება-მოვალეობები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ყურუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N15 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის ერთიანი დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-6, მე-7 და მე-14 საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს დადგენილების პროექტით, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში ახალი რედაქციით ყალიბდება გამგებლის უფლებამოსილების დაკისრების შემთხვევები გამგებლის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, იცვლება სახელწოდებაშეცვლილი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესახებ ჩანაწერები, გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - გამგეობის სამსახურის უფროსის დანიშვნა-განთავისუფლების ფორმულირება, საჯარო მოსამსახურეებთან

დაკავშირებული ტერმინოლოგია გამგებლის და სამსახურის უფროსის ფუნქციებში. რაც შეეხება 2017 წლის 1 ივლისიდან ასამოქმედებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განპირობებულ ცვლილებებს, მოიცავს შემდეგს: გამგეობის დებულებაში იმიჯნება და კონკრეტდება დასაქმებულებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია „პოლიტიკური თანამდებობის პირის“, „საჯარო მოხელის“ და „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის“ სახით და ამასთანავე, დებულების შესაბამის მუხლებში საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასახელებები ფორმულირდება საჯარო თანამდებობათა რანგირების ახალი სისტემის შესაბამისად, მის საფუძველზე ახალი ჩანაწერი კეთდება გამგეობის პასუხისმგებელი პირების არყოფნის შემთხვევებისას მათი ფუნქციის დაკისრების კუთხით (ნაცვლად მოვალეობის შემსრულებლის ფორმულირებისა); საჯარო სამსახურის ბიუროს და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, გამგებლის თანაშემწისა და გამგებლის წარმომადგენლის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმების გათვალისწინებით, იცვლება შესაბამისი მუხლები; ახალი რედაქციით ყალიბდება საჯარო მოხელეთა უფლებების, ვალდებულებების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაოთა აღწერილობების ძირითადი ნაწილი; სრულად იცვლება დებულების მეხუთე თავი გამგეობის მოხელეების თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის შესახებ და შესაბამისობაში მოდის კანონით მოხელის კარიერის მართვისთვის დადგენილ მოთხოვნებთან (მოხელეთა დანიშვნა; გადაყვანა, მობილობა, დროებითი ფუნქციის დაკისრება, კარიერული და პროფესიული განვითარება, შეფასება, სამსახურებრივი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა); ახალი რედაქციით ყალიბდება გამგეობის შინაგანაწესისთვის დადგენილი მოთხოვნები და გამგეობის რეორგანიზაციის წესი. გარდა ჩამოთვლილი ცვლილებებისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურს გადაეცემა გამგეობის მოსამსახურეთა დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებისთვის დისციპლინური წარმოების უფლებამოსილება.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების დებულებებში ფაქტიურად იდენტური ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ: იმიჯნება და კონკრეტდება დასაქმებულებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია მოხელისა და მოსამსახურის სახით და ამასთანავე, დებულების შესაბამის მუხლებში საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასახელებები ფორმულირდება საჯარო თანამდებობათა რანგირების ახალი სისტემის შესაბამისად, მის საფუძველზე ახალი

ჩანაწერი კეთდება სამსახურების პასუხისმგებელი პირების არყოფნის შემთხვევებისას მათი ფუნქციის დაკისრების კუთხით (ნაცვლად მოვალეობის შემსრულებლის ფორმულირებისა); განსხვავებით გამგეობის სხვა სამსახურების დებულებებისა, დამატებითი ცვლილება ხორციელდება გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ტერმინოლოგიის და უფლებამოსილების ცვლილებისა და დისციპლინური წარმოების უფლებამოსილებების ამოღების კუთხით, ხოლო გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის დებულებაში - გამგეობის მოსამსახურეთა დისციპლინური გადაცდომების შემთხვევებში, მათ მიმართ დისციპლინური წარმოების უფლებამოსილების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელების კუთხით.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს დღეისთვის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის გაუქმებას, ვინაიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონითა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით, საჯარო კონკურსებისთვის განსხვავებული წესებია დადგენილი. ამასთან, საჯარო კონკურსის ორგანიზებას ახორციელებს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეული და თითოეული გამოსაცხადებელი კონკურსის შემთხვევაში ახალი კომისია უნდა შეიქმნას თითოეულ დაწესებულებაში, მათ შორის, საკრებულოში და გამგეობაში - ცალ-ცალკე.

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის №71 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებით 2017 წლის 1 ივლისიდან ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტას, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონითა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით, საჯარო კონკურსის ორგანიზებას ახორციელებს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეული და თითოეული გამოსაცხადებელი კონკურსის შემთხვევაში ახალი კომისია უნდა შეიქმნას თითოეულ დაწესებულებაში, მათ შორის, საკრებულოში და გამგეობაში - ცალ-ცალკე. შესაბამისად, 2017 წლის 1 ივლისიდან საქმიანობას წყვეტს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისია. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლოლუა, თ. გულუა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N16 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლოლუა, თ. გულუა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N17 ოქმს თან ერთვის)

მე-6 საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ გამოცხადდა შესვენება

შესვენების შემდგომ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 წევრმა (სია ოქმს თან ერთვის)

